საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება№ 01-02/141

10 სექტემბერი, 2019 წ. ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს №01-02/129 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მ. გიორგაძის 2019 წლის 9 სექტემბრის MES 7 1901153585 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს №01-02/129 ბრძანებაში, კერძოდ შეიცვალოს ბრძანების დანართი №2 და №3 ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის და სააპელაციო (უცხო ენაში) კომისიების ნაწილში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი-1-ის შესაბამისად.**

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.
3. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სტუდენტური პორტალით დაგზავნა.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, კომისიის წევრებს.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის

---10---სექტემბრის N---01-02/141--- ბრძანების

დანართი 1

საგამოცდო კომისიები ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების (უცხოურ ენებში) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკისა და ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

ინგლისური ენა

1. ასოც. პროფესორი ნინო დვალიძე (თავმჯდომარე);
2. ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე (მდივანი);
3. ასოცირებული პროფესორი ნინო არაშიძე;

გერმანული ენა

1. ასოცირებული პროფესორი თეონა ბერიძე (თავმჯდომარე);
2. ფილოლოგიის დოქტ. ნონა მეტრეველი;
3. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი(მდივანი);

ფრანგული ენა

1. ასოცირებული პროფესორი მარინა სიორიძე (თავმჯდომარე);
2. ასოცირებული პროფესორი ვიქტორია დიასამიძე
3. ასისტენტ პროფესორი ნათია აბაშიძე(მდივანი);

რუსული ენა

1. ასოცირებული პროფესორი მარინა არაშიძე (თავმჯდომარე);
2. ასოცირებული პროფესორი ქეთევან სვანიძე ;
3. ასოცირებული პროფესორი ნანა ქაჯაია (მდივანი);

სააპელაციო კომისიები ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების (უცხოურ ენებში) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკისა და ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე - რექტორის მოადგილე, პროფესორი თამარ სირაძე

ფაკულტეტი	საპრეტენზიო კომისიის წევრები
საპრეტენზიო კომისისა უცხოურ ენებში ლინგვისტიკისა და ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	1. ასოცირებული პროფესორი ნანა მაზმიშვილი; 2. ასოცირებული პროფესორი ასმათ არძენაძე; 3. ფილოლოგიის დოქტორი ნინო გურგენიძე; 4. მასწავლებელი მაგული ბოლქვაძე;